

# დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში

ხატია მარტიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნასრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

**ხატია მარტიაშვილი**

**01/07/2020**

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მთავარ საკვლევ თემას წარმოადგენს დაზარალებულთა უფლებების განხილვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განვითარების შესაბამისად. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა დაზარალებულთა უფლებების საკმაოდ ფართო სპექტრს, რაც დადებითად იქნა ასახული დანაშაულის მსხვერპლთა სამართლებრივ სტატუსზე. თუმცა, 2010 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები. სასამართლო სისტემა გადავიდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის სისტემაზე, რამაც თავისთავად გამოიწვია დაზარალებულისთვის საპროცესო უფლებების შეზღუდვა. თუ მანამდე დაზარალებული წარმოადგენდა პროცესის სრულუფლებიან მხარეს, ახალი საპროცესო კოდექსით ის თავისი უფლებამოსილებით გაუტოლდა მოწმეს. დაზარალებულს ჩამოერთვა მთელი რიგი უფლებებისა, რამაც უამრავი დაბრკოლების წინაშე დააყენა ის.

აღნიშნული საკითხის შესწავლა განხორციელდა შედარებით სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის დამოკიდებულების შესწავლაზე დაყრდნობით. ერთია რა წერია კანონში, ხოლო მეორე, როგორ სრულდება ნორმა რეალობაში. რეალობა კი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკა ყოველთვის ვერ უწყობს ფეხს კანონმდებლობაში დანერგილ სიახლეებს. აღნიშნულ საკითხზე დაკვირვებამ ცხადყო იმ ცვლილებების აუცილებლობა, რომელთა გატარებაზეც სხვადასხვა საერთაშორისო აქტები იძლევა რეკომენდაციებს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია, რომ ნათლად წარმოაჩინოს საქართველოს უახლეს ისტორიაში არსებული მიდგომები დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით. მსგავსი მიდგომა კარგად ასახავს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართებას. ცხადს ხდის მათ შორის შეუსაბამობებს და არსებულ ხარვეზებს. ეს ყოველივე კი იძლევა საშუალებას დავინახოთ იმ საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა, რომლებიც დადებითად უნდა აისახოს დაზარალებულთა უფლებებზე მდგომარეობაზე.

## Abstract

The main research topic of this paper is the discussion of victim's rights in accordance with the development of the Criminal Procedure Code of Georgia. The 1918 Criminal Procedure Code provided for a fairly wide range of victim's rights, which was positively reflected in the legal status of victims of crime. However, in 2010 fundamental changes were made to the criminal procedure legislation. The judiciary moved to a system of equality and competition between the parties, which in itself led to a restriction of procedural rights for the victim. If the victim has previously been a full party to the proceedings, under the new Code of Procedure he or she has been empowered by the witness. The victim was deprived of a number of rights, which put him a lot of obstacles.

The study of this issue was carried out on the basis of a comparative legal analysis, based on the study of the relationship between legislation and practice. One is what is written in the law and the other is how it is done in reality. Reality shows that practice does not always keep pace with the innovations introduced in legislation. Observations on this issue have highlighted the need for changes that are supported by various international acts.

The main goal of the paper is to clearly present the approaches to the rights of the victim in the recent history of Georgia. Such an approach reflects well the interrelationship between legislation and practice. Makes clear the discrepancies between them and the existing shortcomings. All this allows us to see the need for legislative changes that should have a positive impact on the rights of victims.